

(სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ და შ.პ.ს. „თბილი სახლი“-ს შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებულ N32070202/03/80 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

NAT180004636

ქ.თბილისი

აპრილი, 2020 წელი.

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ. „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის დავით ფარცვანიას სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „თბილი სახლი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის მალხაზ კურტანიძის სახით, მხარეთა შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლის, სააგენტოს დირექტორის მოადგილის საკურატოროს (სამშენებლო ინფრასტრუქტურის განვითარების დარგში) მიმდინარე წლის 01 აპრილის N323758 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით შევთანხმდით შემდეგზე:

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 ხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს. „თბილი სახლი“ ახორციელებს ქ. კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის მშენებლობის სამუშაოებს საერთო ღირებულებით 4 272 794.87 ლარი, სასწავლო შენობის შიდა სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულა 2020 წლის 31 მარტი, ხოლო შენობის გარე სამუშაოების დასასრულების ვადად 2020 წლის 31 მაისი.

შენობის შიდა სამუშაოების დასრულება 31 მარტის ჩათვლით არ შეესაბამებოდა მშენებლობის ორგანიზაციის პროექტით (მოპ) გათვალისწინებულ სამუშაოთა გრაფიკს, ეს უნდა ჩათვლილიყო მშენებელი კომპანიის მიერ ვადაზე ადრე დასრულების ნებაყოფლობით ვალდებულებად, რაც დადასტურდა 2020 წლის 27 მარტის №62 წერილით, რომლითაც კომპანიამ მომართა თხოვნით სააგენტოს შიდა სამუშაოების დასრულების ვადის გონივრული ვადით გაზრდის შესახებ.

შიდა სამუშაოების იატაკის მოჭიმვის მომზადება ვინილის იატაკებისათვის, კედლების ლესვითსა და ფითხით დამუშავების სამუშაოების შესრულება კომპანიას მოუხდა ზამთრის პერიოდში. ამ დროს ბუნებრივი შრობა მოითხოვს დროის გარკვეულ პერიოდს. დაჩქარებული შრომის პერიოდში ჩატარებული სამღებრო და ვინილის იატაკის მოწყობის სამუშაოები დაბალი ხარისხისაა, რაც უახლოეს დროში იწვევს შედეგილი კედლების აჭრელებას და ე.წ. სოკოების წარმოქმნას, ვინილის იატაკის აწევას ადგილი-ადგილ, რის შემდგომაც კომპანიას უწევს განმეორებითი სამუშაოების ჩატარება, რაც კვლავ დროს და ხარჯებს მოითხოვს. იატაკის მოჭიმვის ტენიანობა თვითსწორებადი იატაკისათვის, რის შემდეგაც ეწყობა ვინილი, ტექნოლოგიურად არ უნდა აღემატებოდეს 2%, დღეის მდგომარეობით კი ტენიანობა შეადგენს 2.6%. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გარე სამუშაოები კეთილმოწყობის სამუშაოების გარდა, ასევე ითვალისწინებს წინაფრების, შესასვლელი კიბეების და პანდუსების მოწყობის სამუშაოებს, რის გარეშეც შეუძლებელია შენობის ექსპლუატაცია.

აგრეთვე გასათვალისწინებელია ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობაც, რა პერიოდშიც სამშენებლო ობიექტზე მომუშავე მუშების და სპეციალისტების სამუშაოზე გამოუცხადებლობა კომპანიისათვის დამატებითი პრობლემების შექმნელ ფაქტორივ გარემოებას წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაკმაყოფილდეს კომპანიის თხოვნა და შიდა სამუშაოების დასრულების ვადა გაუგრძელდეს მიმდინარე წლის 30 აპრილამდე საჯარიმო სანქციების გამოყენების გარეშე ხოლო გარე სამუშაოების დასრულების ვადა დარჩეს უცვლელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მხარეთა შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქ. კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის შიდა სამშენებლო სამუშაოების დასასრულებლად გაუგრძელდეს ვადა 30 კალენდარული დღით, 2020 წლის 30 აპრილის ჩათვლით, საჯარიმო სანქციების გამოყენების გარეშე, ხოლო შენობის გარე სამუშაოების დასრულების ვადა 2020 წლის 31 მაისი დარჩეს უცვლელი.

2. მხარეთა შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.8. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1.8. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქ. კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის შიდა სამშენებლო სამუშაოების დასრულება უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 703 (შვიდასსამი) კალენდარულ დღეში, 2018 წლის 29 მაისიდან 2020 წლის 30 აპრილის ჩათვლით, ხოლო შენობის გარე სამშენებლო სამუშაოების ხელშეკრულების გაფორმებიდან 734 (შვიდასოცდათოთხმეტი) კალენდარულ დღეში, 2018 წლის 29 მაისიდან 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით,

3. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.

4. შეთანხმება შედგენილია სამი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს ხოლო ორი რჩება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ დირექტორი დავით ფარცვანია

(ხელმოწერა, ბეჭედი)

შ.პ.ს. „თბილი სახლი“

დირექტორი

მალხაზ კურტანიძე

(ხელმოწერა, ბეჭედი)



სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო



MES 3 20 00335254

10/04/2020

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორს
ბატონ დავით ფარცვანიას

სამსახურობრივი ბარათი

ბატონო დავით,

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და შპს „სეისმომედეგი პროექტებისა და ექსპერტიზის ცენტრს“ შორის გაფორმებული N320701/03/27 ხელშეკრულების საფუძველზე მიმდინარეობს ქ. თბილისის N10 საჯარო სკოლის აღდგენა-გამაგრების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სამუშაოები.

მიმდინარე წლის 6 აპრილის N330077 წერილით სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მომართა „სეისმომედეგი პროექტებისა და ექსპერტიზის ცენტრმა“ და გვაცნობა, რომ საპროექტო სამუშაოები დასრულებულია და დანიშნულია ექსპერტიზა.

ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე კომპანია მოგვმართავს თხოვნით, რომ პროექტის ჩაბარების ვადა გაუგრძელდეთ 2020 წლის 21 აპრილამდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაკმაყოფილდეს შპს „სეისმომედეგი პროექტებისა და ექსპერტიზის ცენტრის“ მოთხოვნა და გაუგრძელდეს ვადა საჯარიმო სანქციების გამოყენების გარეშე 2020 წლის 21 აპრილამდე.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
დირექტორის მოადგილის საკურორტო სამშენებლო
ინფრასტრუქტურის განვითარების დარგში
პროექტის მენეჯერი
ჭონიაშვილი მერაბ